სამაგისტრო ნაშრომი: ტრადიციულიდან, მუშაობის დისტანციურ მეთოდზე გადასვლის გამოწვევები და შესაძლო შედეგები

ივანე ელიაური

სამაგისტრო ნაშრომი ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ბორის გითოლენდია, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოუქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ივანე ელიაური

03.07.2021

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევაში ერთმანეთთან დაკავშირებულია პრობლემები და გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას ნებისმიერი დასაქმებული დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლისას, მუშაობის ამ რეჟიმის მომავალი განვითარება და დამსაქმებლის როლი ამ პროცესში. ჩვენს მიერ შესწავლილი მასალებიდან, კერძოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორების, სოფიო დოლიძისა და იამზე კუტალაძის მიერ ჩატარებული კვლევის, აგრეთვე საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გამოცემული ,,დისტანციურად მუშაობის სახელმძღვანელოს“ მიხედვით, სახლიდან მუშაობას აქვს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები, თუმცა რეჟიმზე გადასვლა შეუქცევადი პროცესია და იგი მომავალში აუცილებლად განვითარდება სათანადოდ. ნაშრომის მიზანია მიმოიხილოს დისტანციური მუშაობის განვითარების პროცესი და მასზე გადასვლის ბარიერები. სხვადასხვა სტატისტიკურ მასალაზე დაყრდნობით შეაფასოს მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, გააანალიზოს საქართველოში არსებული მდგომარეობა, რამდენად მოახერხეს ქვეყანაში არსებულმა, როგორც დამსაქმებლებმა, ასევე დასაქმებულებმა კოვიდ-პანდემიით გამოწვეულ ცვლილებებთან ადაპტაცია და შეამოწმოს ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა. ჰიპოთეზის გადასამოქმებლად ჩატარდა, რაოდენობრივი კვლევა, რომელშიც მონაწილეობა 104-მა რეპოდენტმა მიიღო საჯარო და კერძო სექტორიდან. მიღებულმა შედეგებმა კი დაადასტურა ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა. მნიშვნელოვანი კორელაცია დაფიქსირდა დამსაქმებლების მიერ დაქირავებულების მატერიაური რესურსებით აღჭურვასთან მათთან კომუნიკაციასა და პროდუქტიულობასთან.

საძიებო სიტყვები: დისტანციური მუშაობა, მეთოდი, დასაქმებული, დამსაქმებლის როლი.

Abstract

The present research relates the problems and challenges faced by any employee in switching to remote work mode, as well as the future development of this mode and the role of the employer in this process. According to a research by Dolidze S. and Kutaladze I. professors at the Tbilisi State University, Faculty of Psychology and Education, as well as a "Remote Work Guide" published by the Civil Service Bureau, there are both advantages and disadvantages to working from home, but the transition is irreversible. It will definitely develop properly in the future. The aim of the research is to review the process of development of remote work and the barriers to its transition. Based on various statistical materials, evaluate its advantages and disadvantages, analyze the current situation in Georgia, how well the employers and employees in the country have managed to adapt to the changes caused by the pawn-pandemic and test the established hypothesis. To validate the hypothesis, a quantitative study was conducted in which 104 respondents from the public and private sectors participated. The obtained results confirmed the established hypothesis. Significant correlations were observed with employers equipping employees with material resources for their communication and productivity.

Keywords: remote work, development, research result, employer role